საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

25/04/2023 N 186

თბილისი

შპს „მაკე მანი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 იანვრის N13/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს „მაკე მანი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის (საიდენტიფიკაციო კოდი 405508678) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით 0135229, მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის 14/16;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მაკე მანი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2022 წლის 31 მარტის N79 განკარგულება;

3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

პაპუნა ლეჟავა

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი